საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #26

2019 წ. 23 მაისი 17.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მ.ამაშუკელი, მ.დათუკიშვილი,
ი. ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი, ფ.ინჯია,
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლ;ია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოხსენება მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესახებ

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსიმა ანდრია ბასილაიამ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სამსახურის მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესახებ.

საქალაქო სამსახურის უფროსმა ბიზნეს-აქსელერატორის საგრანტო პროგრამაზე, ბიზნეს-გეგმების ხელშეწყობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე ისაუბრა.

ბიზნეს-აქსელერატორის პროგრამა ორიენტირებულია ორ სამიზნე ჯგუფზე: „სტარტაპებზე" - ახალი ინოვაციური იდეებით და უკვე რეგისტრირებულ მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომლებსაც სამომავლო განვითარების პერსპექტივა გააჩნიათ. სამიზნე ჯგუფებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ კონსულტაციები მათი საქმიანობის სფეროში ცოდნის გასაუმჯობესებლად, დახმარება ბიზნეს გეგმის შემუშავებაში, ერთობლივი სამუშაო სივრცით სარგებლობაში.

შექმნილია ინტერნეტ საიტი (http://spark.gov.ge), სადაც სამიზნე ჯგუფებს შეუძლიათ დარეგისტრირება და ყველანაირი ინფორმაციის მიღება; კონსულტაციები მოიცავს იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვის, მარკეტინგისა და ადამიანური რესურსების ექსპერტების მიერ შესაბამის სფეროში გაწეულ მომსახურებას.

მუხიანის ტერიტორიაზე, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიის განვითარებისათვის დამუშავდა რადიოქალაქის პროექტი. შექმნილია ჩასატარებელი კვლევის სატენდერო დოკუმენტაცია, კვლევის საგანი და პროცედურები გავლილია პოტენციურ შემსრულებლებთან. უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობების აღწერასა და ბაზის შექმნის მიმართულებით, განხორციელდა ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და მათი ვიზუალიზაცია. გარდა ამისა, ქ. თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო: ბლოგერებისა და ინფლუენსერების "FAM ტურის" ორგანიზებაში; ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრის ორგანიზებაში; ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ორგანიზებაში. თბილისის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და გერმანიის საერთშორისო ცნობადობის მქონე ბლოგერების მიერ ინტერნეტ სივრცეში განთავსდა ბლოგები და სტატიები;

სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს თბილისში არსებული ყველა ეკონომიკური საქმიანობის აღწერა და მათი რუკაზე განთავსება. აღნიშნულ ბაზასთან ინტეგრირებული იქნება საჯარო რეესტრის ბაზა. მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნება განვსაზღვროთ კონკრეტული არეალის ფართობი, მოსახლეობის სიმჭიდროვე და ეკონომიკური აქტივობა.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს წევრებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს. მათ სამსახურის უფროსთან ერთად განიხილეს საკვირაო ბაზრობების შექმნის საკითხი და ამისათვის ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბებაზე იმსჯელეს. ასევე, განიხილეს ბიზნეს იდეების განხორციელების და საპილოტე პროექტების დეტალები.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია